ПРОЛЕТАРІИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 192 (19633) ◆ ხუთშაბათი, 21 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

საბჭოების როლი და ძალა

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

იმპერიულ ამბიციებს, პოლიტიკურ განუკითხაობას ოკეანის გაღმა ბოლო უნდა მოეღოს

ᲩᲕᲐ ᲐᲕᲘᲛᲐᲚᲚᲝᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲝ!

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა

ᲪᲘᲕᲘᲚᲘ ᲖᲐᲪᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲓᲚ ᲨᲔᲣᲜᲣᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲧᲕᲔᲢᲓᲔᲡ

თავიდან ავიცილოთ ბირთვული საფრთხე

შეხვედრები თბილისში

ლენინური იდეების პროპაგანდისტთა სემინარი

პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის წახნაგი და შედეგი

გარდაქმნა? ვუპასუხებთ, რომ ძვრები არის. უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული გახდა მუშობა, იზრდება ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მტკიცდება საშემსრულებლო დისციპლინა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ წინა წლებში პარტიული კომიტეტი ხშირად ეგრეთ წოდებულ გლობალურ და მასშტაბურ საკითხებს იყო ხოლმე გადაყოლილი. გვაკლდა კონკრეტულობა და ზოგჯერ კომპეტენტურობაც. ვერ ვახერხებდით მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციას. ამაზე ასეთი მაგალითიც მეტყველებს: ძირითადი პროდუქციის — მშრალი ლითოფონის გამოშვება წლების მანძილზე პრობლემად იქცა. არსებობდა და არსებობს ამის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები — მოძველებული და ამორტიზებული აპარატ-დანადგარები და შენობა-ნაგებობანი, თანამედროვე ტექნიკის სიახლეთა დანერგვის დაყოვნება. შრომის მძიმე პირობები, შეფერხებანი ნედლეულისა და ბუნებრივი გაზის მოწოდებაში. ამას ემატებოდა კოლექტივის არასტაბილურობა, სუსტი საწარმოო და შრომის დისციპლინა, ტექნოლოგიური რეჟიმების დაღვევა.

საკითხი შესასწავლად და გადასაწყვეტად ბევრჯერ იდგა პარტიული კომიტეტის პრობლემურ და პერსპექტიულ სამუშაო გეგმებში. თუთიის, ბარიუმის, ლითოფონის საამქროთა პარტორგანიზაციებში ვამუშავებდით ღონისძიებებს, ვქმნიდით სხვადასხვა კოლექტივის წინაშე. კოლექტივიც, თავის მხრივ, უფრო აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმეებში, მეტ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენს თავისი საწარმოს, სამუშაო უბნის მიმართ. თუ საამქროების წითელი კუთხეების მოსაწესრიგებლად საგეგმო რემონტს ვცდიდით ხოლმე ორი კვირის მანძილზე, ახლა ლაქმასალების, ელექტრო, თუთიის საამქროთა წითელი კუთხეების საბჭოს წევრების შეკრება და მხარდაჭერაზე ყიჟინა როდი დასჭირვებიათ. ყველაფერი უბრალოდ მოხდა: სწორად გაიგეს, შესაძლებლობა გამონახეს, შეასრულეს.

მუშაობის რეგლამენტის დახვეწის მიზნით გავაუქმეთ ideologიური მართვის სტრუქტურაში 4 ჯგუფი და კომისია. ამით გამოვანთავისუფლეთ 27 კომუნისტი ფორმალური მასუხისმგებლობისაგან.

პერსპექტიული გეგმის სრულყოფამ, ზედმეტი თათბირებიდან, სხდომებიდან და ინფორმაციების გაცემა-მიღების გაუმჯობესებით გამონთავისუფლებულმა დრომ საშუალება მოგვცა პირველადს ორგანიზაციებში მისვლით პირადად შეეცნოთ არსებული მდგომარეობა და შედეგები. თანაც კარგად ვხედავთ, რომ ყველა საამქრო პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ვერ ამბობენ პირდაპირ უარს ჩვეულ, მაგრამ უკვე უსარგებლო სქემებსა და საქმისადმი მიდგომაზე, მაგრამ დუმილის ყინული უკვე გალღვა. მართალია, ჯერ კიდევ სრულყოფილ პასუხს ვერ ვცემთ ყველა იმ კითხვას, რომლებიც კომუნისტებიდან მოდის, მაგრამ ყოველნაირად ვცდილობთ ვიყოთ პირდაპირები. აქვე ჩვენც გვიბადია იგივე კითხვა — ვიცით კი რა უნდა შევცვალოთ და როგორ? გარდაქმნა ადვილი არ არის, რთული და შრომატევადია, ამ ფსიქოლოგიური კლიმატის შეცვლის აუცილებლობას თვით ცხოვრება მოითხოვს. მაგალითად, პარტიული კომიტეტი სერიოზულად დაინტერესდა ლაქმასალების, შაბიამნის, ბარიუმის, მიკრობარიტის და ლითოფონის საამქროებში შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდით მოშუშვე 31 ბრიგადაში, სადაც 445 კაცია გაერთიანებული, პარტიული ბირთვის პროპორციულად ზრდის საკითხით.

სტრუქტურული დახვეწის პარალელურად უნდა გაუმჯობესდეს ideologიური მუშაობა. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, ერთი შეხედვით, საქმიანი, კონკრეტული, გულახდილი საუბრის შემდეგ ლითოფონის და საღებავების საამქროთა აგიტატორებმა ახალი სამუშაო რვეულები მოითხოვეს: თავიდან, ახლებურად დავიწყებთ მუშაობასო. ასე ასაბუთებდნენ თავიანთ თხოვნას. გარკვეული დროის შემდეგ ვნახეთ, რომ საგიტაციო ბლოკნოტებში ზუსტად იყო აღრიცხული ჩატარებული შინაარსიანი საუბრები შრომის დისციპლინის, პროდუქციის ხარისხის, წარმოების კულტურის საკითხებზე, მაგრამ საუბედუროდ ეს მასალები კოლექტივის წევრებს არ ეცნობოდა.

ცხადია, არ შეიძლება ახალი იდეების პროპაგანდა ძველებური მეთოდებით და ორიენტაციით. ამ ინერციის ძალაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, როდესაც ყრილობისწინა პერიოდში სერიოზული მზადება დავიწყეთ იმისათვის, რომ საყრილობო დოკუმენტები თითოეული მშრომელისათვის გეგვეცნო. აქ ხომ ერთ-ერთი მთავარი ადგილი თვალსაჩინო პოლიტიკურ აგიტაციას განეკუთვნება. ამიტომ უწინარესად თვალსაჩინო აგიტაციის საბჭოს გადახალისება გადავწყვეტეთ, შევამოწმეთ საბჭოს მასალები, შემადგენლობა, სხდომათა ოქმები, და ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ, რომ შეცვლა-განახლება შესაძლებელი ყოფილიყო. ვიგრძენით, რომ უბრალოდ „ტრადიციას“ არ ვდალატობდით. საბჭოს ფორმალურად უნდა ეარსება ორ მოზრდილ საქმიანობაში. ამიტომ კომიტეტის სხდომაზე არავინ არ გაკვირვებულა, თუ რატომ მივიღეთ გადაწყვეტილება მისი გაუქმების შესახებ. დღეისათვის შედგენილი გვაქვს თვალსაჩინო პოლიტიკური აგიტაციის პასპორტი სამი მთავარი მიმართულებით: სკკპ XXVII ყრილობის მასალების ფართო პროპაგანდა, კონკრეტულობა და ოპერატიული რეაგირება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენი ქარხნის კოლექტივს გარკვეული წარმატებები აქვს. და ისინი ადვილად არ მოგვიპოვებია. მაგრამ დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი ჩვენს წინაშე აყენებს ბევრად უფრო რთულ საკითხებს, ამიტომაც პარტიული ორგანიზაციის სამოქმედო წინა ხაზზე წამოიწია ადამიანის ფაქტორმა — მისი შემოქმედებითი აქტიურობის, ეკონომიკური აზროვნების ფორმირებისა და გადაწყობის საკითხებმა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებას. ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტმა გ. კაპანაძემ წარმოების ეფექტიანობის გაზრდის საკითხების გაშუქების დროს პრაქტიკული დავალება მისცა მსმენელებს გაეანალიზებინათ სპილენძის საგრანულიაციო უბნის მუშაობა: სად იყო მისი სუსტი ადგილები. მსმენელები სერიოზულად დაინტერესდნენ. საბოლოოდ შემოქმედებითმა დაინტერესებამ შესაძლებელი გახადა კონკრეტული წვლილი შეეტანათ წარმოების ეფექტიანობის გაზრდის საქმეში.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: კომუნისტური შრომის სკოლის პროპაგანდისტის გ. ხარაბაძის ინიციატივით შესაძლებელი გახდა თუთიის საამქროს კოლექტივს ხუთ თვეში დაეზოგა 335 კილოგრამი ნედლეული, 140 მეტრი ძვირადღირებული ბელტნგის ქსოვილი, 0,9 ტონა მჟავა, ხოლო მის მსმენელთა მიერ დანერგილი 4 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან ორი ახალგაზრდა კომუნისტს დ. ბუხრაძეს ეკუთვნის, 1625 მანეთი პირობითს ეკონომიას აძლევს საამქროს. კარგი ინიციატივები, თაოსნობები და ლიუბნეგები მაშინ გამაგრდება ეფექტიანი პრაქტიკული საქმიანობით და არ დაიკარგება ქაღალდების გროვაში, თუ პარტიული და ეკონომიკური განათლების სისტემას მეტი შინაარსით დაუკავშირებთ დღევანდელობის მოთხოვნებს.

შარშან ქარხანაში დაიწყო მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადება, წამოიჭრა ბევრი რთული საკითხი ქარხნის მუშათა და სპეციალისტთა სწავლებასა და ფსიქოლოგიურ გარდაქმნასთან დაკავშირებით. ამიტომ ეკონომიკური განათლების სისტემაში შეიქმნა შესაბამისი სკოლა „ექსპერიმენტიდან მეურნეობრიობის ახალი სისტემისაკენ“. მაგრამ რა გამოვიდა? კომუნისტები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ სამუშაო უბნებს, სპეციალისტები, მოწინავე მუშები, ერთი სიტყვით, ისინი, ვინც მზად უნდა ყოფილიყო ამისთვის, მოწყვეტილი აღმოჩნდნენ სწავლების ამ ფორმას. ყოველივე ამან შექმნა აუცილებლობა ახლად შემუშავებული სპეციალური გეგმის მიხედვით გაეკეთოთ მათ პარტიული სწავლების სისტემის პარალელურად გადამზადების კურსები ქარხანაში. ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ რაც უფრო რთულია სწავლების ფორმა, მით უფრო საშიშია მისი მიდრეკილება ფორმალიზმისაკენ. ამის შესახებ ხშირად გამოთქვამენ თავიანთ აზრს პროპაგანდისტები და მსმენელები.

მუშაობა რომ გარდაქმნათ, უნდა ვეცადოთ ნათლად დავინახოთ ჩვენი ნაკლი. ამ საკითხს პარტიული კომიტეტი ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთად პრინციპულად მიუდგა. ყველას რომ თავისი საქმე ეკეთებინა, არ იქნებოდა კომუნისტებისაგან, მშრომელებისაგან ამდენი კრიტიკული შენიშვნა და უარყოფითი შეფასება. „თავად დღევანდელობის შესაბამისი მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება ადვილად როდი წარმოებს“, — ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე. პარტიის ეს მითითება ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და შემოქმედებითად გამოვიყენოთ, როცა გარდაქმნის სტილს ვაყალიბებთ.

რ. კალაძე,
ქუთაისის ლითოფონის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ

მისიებს და სისტემებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. მარტო 1985 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული საკითხი 6-ჯერ განვიხილეთ პარტიული კომიტეტისა და საამქრო ორგანიზაციების კრებებზე. დადგენილებები კი ქაღალდზე რჩებოდა. რატომ? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ დადგენილება არ იყო განმტკიცებული ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით, კადრების დენადობის, შრომის დისციპლინის, ნედლეულის რიტმულად მიწოდების და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ ცნობების შეგროვების ჯერ-ოდენობით. არადა, საჭირო იყო ღრმად, აღგილზე არსებული მდგომარეობის გაანალიზებით მოგვეძებნა მუშაობის სტილის გარდაქმნის გზები. ეს ვიპოვეთ კიდეც. მდგომარეობა გამოსწორდა.

უპირველეს ყოვლისა, პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმას საფუძვლად დაედო ზემდგომ ორგანოთა გადაწყვეტილებებს შესრულების ორგანიზაცია, თითქმის ორჯერ შემცირდა კომიტეტის სხდომებზე განსახილველი წინასწარ დაგეგმილი საკითხების რიცხვი, მეტი აღგილი დაეუთმეთ კონკრეტულ საკითხებს, დოკუმენტების დახვეწასა და დადგენილების დაკონკრეტებას. ამან საშუალება მოგვცა კონტროლი გაგვეწია მიღებული დადგენილებების შესრულებისადმი. და მაინც, მუშაობის გარდაქმნა ყველას მიერ მინდობილი საქმის უთუო შესრულებით უნდა დაწყებულიყო. ადეგ ერთხელ გულდასმით გადავხედეთ პარტიული კომიტეტის წევრთა ფუნქციებს.

პირველად ნამდვილად გაგვიჭირდა. მინდობილი საქმის შეფასების საკითხზე კამათიც გვქონდა, ცოტა წყენაც. საქმის მიმდინარეობა გვიჩვენებდა, რომ ზოგი ხელმძღვანელი ამხანაგი, მართალია, ხშირად მსჯელობდა გარდაქმნაზე, მის დიდ მნიშვნელობაზე და საჭიროობაზე, მოუთმენლად მოელოდა კიდეც მის შედეგებს, მაგრამ ძველებურად, სხვისი მოიმედოობით განაგრძობდა მუშაობას. სწორედ ამიტომაც მოეთხოვა მკაცრი პარტიული პასუხისმგებლობა პროფკომიტეტის თავმჯდომარეს ი. გოგოლაშვილს. არწყენინებს, შემრიგებლურ პოზიციაზე დგომისათვის, არსებული რეზერვების გამოუყენებლობისათვის მივუთითეთ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის წევრებს და მათ ხელმძღვანელს, ამ ჯგუფის თავმჯდომარეს ლ. ბერეკაშვილს.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ყველანი და ყველაფერი არ აღმოჩნდა მზად იმისათვის, რომ გაზრდილი პასუხისმგებლობითა და დამოუკიდებელი მოქმედებით შეგვეცვალა მუშაობის სტილი— ნაკლები ქაღალდებით, ნაკლები სხდომებით, კომისიების და ფუქსიტყვაობის შემცირებით ის საქმე გვეკეთებინა, რომელიც უშუალოდ გვევალებოდა. ზოგჯერ კრიტიკასაც მისამართები აკლდა, ამიტომაც კიდევ ერთხელ შევახსენეთ მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის სამსახურებს (ხელმძღვანელები — ი. ბეჟუაშვილი და ნ. იმერლიშვილი), ელექტროენერგეტიკოსებს, ავტოტრანსპორტის ოსტატებს, ავტოფარეხის ოსტატ-ინჟინერ ბ. ბაბუაშვილ

ინფორმაციი
ფაქტები • მოვლენები

არ დავუშვათ ბირთვული ხანძარი!

მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა მიესალმება ახალ საბჭოთა ინიციატივას

კვლავ ფართოდ განმარტავენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას საბჭოთა ტელევიზიით, სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზგასმით აღნიშნავენ: საბჭოთა კავშირი როგორც სოციალისტური სახელმწიფო, როგორც ბირთვული სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაიცვას მშვიდობა, აუენებს ბირთვული განიარაღების კონსტრუქციულ და სერიოზულ პროგრამას, სახავს ახალ პოლიტიკას — რეალიზმის, მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, დგამს დიდ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებსაც შეუძლიათ დააოკონ მილიტარიზმი და მოვლენების განვითარება უკეთესობისაკენ შემოაბრუნონ. მსოფლიოში გაბედულად გმობენ ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხისადმი ამერიკის შეერთებული შტატების ნეგატიურ მიდგომას.

ჰავანა. მშვიდობის საქმისადმი საბჭოთა კავშირის ერთგულების ახალ დადასტურად მიიჩნევს **პრენსა ლატინას** საინფორმაციო სააგენტო სსრ კავშირის გადაწყვეტილებას განაგრძოს ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმი. საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში ამ უპრეცედენტო ღონისძიების ვადას აგრძელებს, რითაც მკაფიოდ ცხადყოფს მისწრაფებას პლანეტა განთავისუფლდეს მომაკვდინებელი იარაღისაგან და შეწყდეს გამალებული შეიარაღება.

ბელგრადი. სსრ კავშირის გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით გააგრძელოს მომდევნო წლის 1 იანვრამდე ბირთვული გამოცდების მორატორიუმი, ხაზს უსვამს ტანიუგის სააგენტო, დიდმნიშვნელოვანი დადებითი ნაბიჯია. ამ გადაწყვეტილებას კმაყოფილებთ შეხვდა იუგოსლავიისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობა და იგი მოწონებას იმსახურებს. საბჭოთა კავშირის ახალი ნაბიჯი დიდმნიშვნელოვანი იმპულსია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებისათვის.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხ. პერეს დე კუელიარი მიესალმა საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმების განგრძობას. მან გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირის ბოლო ინიციატივა სხვა ამასწინანდელ წინადადებებთან ერთად ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაღწიოს ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ ურთიერთმისაღებ შეთანხმებას, რომლის შემოწმება ადვილი იქნება.

ვაშინგტონი. როგორც ეი-ბი-სი ტელეკომპანია იუწყება, თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატს ხელმძღვანელი დ. რიგანი, უპასუხა რა ეუერალისტთა კითხვას უმაღლესი დონის შეხვედრაზე ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის შესახებ მ. ს. გორბაჩოვის წინადადების თობაზე, ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ბირთვული | იარაღის გამოცდების საყოველთაო და სრული აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგი არ არის. მაგრამ იგი უარს აცხადებს ისეთი ხელშეკრულების დადებაზე, რომელსაც არ ეძნება შემოწმების სათანადო სისტემა“. ამავე დროს ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი კონტროლის მომხრეა და რომ ვაშინგტონი განაგრძობს ამავე პრობლემის ექსპლოატაციას, ცდილობს მიჩქმალოს ნამდვილი პოზიციები, ის, რომ არ სურს განიარაღება.

პარიზი. ბირთვული გამოცდების მორატორიუმის განგრძობით საბჭოთა ხელმძღვანელმა გადადგა კიდევ ერთი კეთილი ნებისა ნაბიჯი, წერს **„მონდი“**. იგი არ აპირებს ძირი გამოუთხაროს დაძაბულობის შენელების ახალ პერიოდს, რეიგანთან დიალოგის წარმოების სიძნელის მიუხედავად. მოსკოვი იმედოვნებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან განაგრძობს მოლაპარაკებას, რომელიც სასარგებლო და კონსტრუქციული იქნება. ამერიკის შეერთებულ შტატებს ტყუილად მიაჩნია საბჭოთა ინიციატივები პროპაგანდად. მოსკოვის ღონისძიებებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რთულ ვითარებაში ჩააყენა, წერს **„ლიბერასიონი“**. თეთრ სახლს გაუჭირდება კვლავ უარი თქვას ბირთვული გამოცდების შეწყვეტის მოლაპარაკებაზე.

სტოკჰოლმი. შვეიცის მთავრობა კმაყოფილებით გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, განაგრძოს ბირთვული აფეთქებების მორატორიუმი, ნათქვამია შვეიცის პრემიერ-მინისტრის **ი. კარლსონის** განცხადებაში. მთავრობა იმედოვნებს, რომ განიარაღების დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომ კონტაქტებს შეიძლება მოჰყვეს მრავალმხრივი ხელშეკრულების დადება ბირთვული გამოცდების სრული შეწყვეტის შესახებ.

ჰაბანა. ნიდერლანდის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მ. ს. გორბაჩოვის მიერ გადადგმული კეთილი ნების ნაბიჯი უეჭველია ხელს შეუწყობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაძაბულობის შენელებას“.

ტოკიო. **„ტოკიო სიმბუნი“** კმაყოფილებას გამოთქვამს საბჭოთა კავშირის ახალი ნაბიჯის გამო და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებს შეუერთდეს საბჭოთა მორატორიუმს. გაზეთი წერს, რომ რეიგანის ადმინისტრაციის უარი, დადებითად გამოეხმაუროს საბჭოთა კავშირის ამ გადაწყვეტილებას, მოწმობს, რომ უგულურია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა.

ბონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ საბჭოთა ტელევიზიით კვლავ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია განიარაღების შესახებ მოლაპარაკებით, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჰანს დიტრიხ გენშერმა.** გერმანიის ფედერაციული მთავრობა, აღნიშნა მან, მხარს უჭერს ნებისმიერ ძალისმევას, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვული გამოცდების ყოველისმომცველი აკრძალვის მიღწევას. ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი შეიძლება გახდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ გამოცხადებული და გადწყვეტილება გააგრძელოს 1987 წლის 1 იანვრამდე ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი. შეეხო რა უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის საკითხს, მინისტრმა მხარი დაუჭირა შეხვედრაზე ბირთვული იარაღის გამოცდების სრული აკრძალვის შესახებ მორიგების მიღწევას.

ბონი. საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება ცალმხრივი მორატორიუმის განგრძობის შესახებ კონსტრუქციული წვლილია მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. მიესალმებით ამ მნიშვნელოვან საბჭოთა წინადადებას, განაცხადა ინფორეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა **კ. რ. ნარაიანმა.** მშვიდობისათვის ბრძოლა ყველას, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების საერთო საქმეა, რადგან უმშვიდობოდ არ იქნება განვითარება.

მეხიკო. მექსიკის მთავრობა, ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, მიესალმება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც შეესაბამება ისტანბულში მიღებულ „მექსიკის დეკლარაციის“ ძირითად დებულებებს. მექსიკის მთავრობა კმაყოფილებით აღიქვამს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, რადგან იგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია პლანეტაზე განიარაღების, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე, აგრეთვე ხელს უწყობს საარსებოდ საჭირო დაძაბულობის შენელებას და პოლიტიკური დიალოგის პროცესს საერთაშორისო გაერთიანების წევრი ყველა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

დელი. საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება ცალმხრივი მორატორიუმის განგრძობის შესახებ კონსტრუქციული წვლილია მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. მიესალმებით ამ მნიშვნელოვან საბჭოთა წინადადებას, განაცხადა ინფოეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა **კ. რ. ნარაიანმა.** მშვიდობისათვის ბრძოლა ყველას, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების საერთო საქმეა, რადგან უმშვიდობოდ არ იქნება განვითარება.

მეხიკო. მექსიკის მთავრობა, ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, მიესალმება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც შეესაბამება ისტანბულში მიღებულ „მექსიკის დეკლარაციის“ ძირითად დებულებებს. მექსიკის მთავრობა კმაყოფილებით აღიქვამს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, რადგან იგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია პლანეტაზე განიარაღების, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე, აგრეთვე ხელს უწყობს საარსებოდ საჭირო დაძაბულობის შენელებას და პოლიტიკური დიალოგის პროცესს საერთაშორისო გაერთიანების წევრი ყველა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრი

გდრ

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიესალმება საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას გააგრძელოს 1987 წლის 1 იანვრამდე ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა ტელევიზიით გამოაცხადა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია მშვიდობის ინტერესებისათვის, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **ერიხ ჰონეკერმა.** გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მშვიდობის განმტკიცება თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია. დღეს, როცა კაცობრიობას ბირთვული მოსპობის საფრთხე ემუქრება, გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფო ესწრაფვის მიაგნოს მშვიდობის შენარჩუნების გზებს და ხელი შეუწყოს საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას.

გფრ

ბონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ საბჭოთა ტელევიზიით კვლავ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია განიარაღების შესახებ მოლაპარაკებით, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჰანს დიტრიხ გენშერმა.** გერმანიის ფედერაციული მთავრობა, აღნიშნა მან, მხარს უჭერს ნებისმიერ ძალისმევას, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვული გამოცდების ყოველისმომცველი აკრძალვის მიღწევას. ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი შეიძლება გახდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ გამოცხადებული და გადწყვეტილება გააგრძელოს 1987 წლის 1 იანვრამდე ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი. შეეხო რა უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის საკითხს, მინისტრმა მხარი დაუჭირა შეხვედრაზე ბირთვული იარაღის გამოცდების სრული აკრძალვის შესახებ მორიგების მიღწევას.

აშშ

ვაშინგტონი. სსრ კავშირის გადაწყვეტილებას, გააგრძელოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, მაღალი შეფასება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების თავლსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, სენატორმა **ედვარდ კენედიმ.**

ეს გადაწყვეტილება, აღნიშნა სენატორმა, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევს თავიდან აიცილონ ახალი და ბევრად უფრო მომაკვდინებელი ბირთვული იარაღის შექმნა და დაადგნენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის კურსს. მე მოვუწოდებ პრეზიდენტს ისარგებლოს ამ უპრეცედენტო შესაძლებლობით და დაუყოვნებლივ აიჩჩიოს მოლაპარაკების გზა, რომელიც უზრუნველყოფდა ბირთვული იარაღის გამოცდების სამუდამო აკრძალვის შესახებ შემოწმებას დაქვემდებარებული შეთანხმების მიღწევას.

თანამედროვეობის გადაუდებელი ამოცანა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ვარშავა. პოლონელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა პრესის საკითხებში წაიკითხა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, ხაზგასმით აღნიშნა მან, მშვიდობის საქმის ხელშეწყობა დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად მიაჩნია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმის 1987 წლის 1 იანვრამდე გახანგრძლივების შესახებ. სსრ კავშირის ეს გადაწყვეტილება, რომელიც პოლონეთში უდიდესი კმაყოფილებით აღიქვეს, წარმოადგენს ყველა ხალხთა, მათ შორის, პოლონელი ხალხის ინტერესების შესაბამის კეთილი ნების აქტს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც თავის განცხადებაში შეახსენა მსმენელებს მ. ს. გორბაჩოვმა. ეს წინადადებანი გამოხატავენ ვარშავის ხელშეკრულების მშვიდობისმოყვარულ სტრატეგიას, ხელშეკრულებისა, რომლის დიდმნიშვნელოვანი რგოლიც არის პოლონეთი. გამალებული შეიარაღების შეკავება და ბირთვული ომის წარმოშობის საფრთხის ლიკვიდაცია მსოფლიოს ყველა ხალხთა გადაუდებელი ამოცანაა. ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული ძალები ისწრაფვიან მოიპოვონ ცალმხრივი ბირთვული უპირატესობა და ასწორონ აგდებენ ხალხთა უშიშროებას. პოლონეთი იმედოვნებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში არ იმძლავრებს ტენდენცია, რომელიც დღეს საფრთხეს შეუქმნის მთელ მსოფლიოს და თვით შეერთებულ შტატებს. პლანეტის უშიშროება მოითხოვს ყველა ხალხთა მშვიდობისმოყვარული მეცადინეობის გაერთიანებას. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება.

კარიკატურისტის კომენტარი

საბჭოთა კავშირი დაჟინებით მოუწოდებს ამერიკის ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ მოილაპარაკონ ყოველგვარი ბირთვული გამოცდების აკრძალვის თაობაზე. მაგრამ ამერიკის მმართველი წრეები განაგრძობენ ბირთვულ აფეთქებებს. ისინი სამხედრო კონცერნების ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფას.

— ჩვენ არ შეგვიძლია, ბირთვული გამოცდების შეწყვეტა. მაშინ როგორლა დავიცავთ სხვა ქვეყნებს?

ნახატი „პიკლზ დეილი უორლდიდან“, ნიუ-იორკი.

● აშშ

ადმინისტრაციის სახიფათო ნაბიჯი

ვაშინგტონი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს პირველი კონკრეტული ნაბიჯი, რომელსაც შედეგად მოსდევს შეერთებული შტატების მიერ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მე-2 ხელშეკრულების დარღვევა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსმა გენერალმა ლერი უელჩმა განაცხადა, რომ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები შეუდგნენ მუშაობას 131-ე ბ-52 ბომბდამშენის მოდიფიკაციისათვის, რათა აღჭურვონ იგი ფრთოსანი რაკეტებით. აქამდე ფრთოსანი რაკეტების დაყენებისათვის საჭირო სამარჯვებით აღჭურვილი იყო 130 „ბ-52“ ბომბდამშენი.

131-ე „ბ-52“-ის მოდიფიკაცია ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გადაამეტებს ზღვარს, რომელიც მე-2 ხელშეკრულებით არის დაწესებული რამდენიმე ქობინიანი საბრძოლო მუტტის მატარებლებისათვის. როგორც უელჩმა აღნიშნა, 131-ე „ბ-52“ბომბდამშენის მოდიფიკაციას სამუშაოები უახლოესი სამი თვის მანძილზე დამთავრდება.

● იაპონია

„მშვიდობის ხომალდი-86“

ტოკიო. „მშვიდობის ხომალდი-86“ — ახე ეწოდება ექსპედიციას, რომელშიც წყნარი ოკეანის კუნძულებზე გაემგზავრნენ მიროსლავის მცხოვრებლები, ამ ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის აქტივისტები, „ჰიბაკუსეიები“ — ადამიანები, რომლებმაც განიცადეს ჰიროსიმის ატომური დაბომბვა. მშვიდობის ხომალდის რეისის ორგანიზატორებს მიზნად აქვთ დასახული მტკიცე ურთიერთობა დამყარონ წყნარი ოკეანის რაიონის ქვეყნების ანტიბირთვულ, ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციებთან, ერთობლივად იმოქმედონ ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის.

◆ კამპუჩია

ტაილანდი განაგრძობს პროვოკაციებს

პნომპენი. როგორც ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ტაილანდმა ახალი პროვოკაციები მოაწყო კამპუჩიის წინააღმდეგ. ერთი კვირის მანძილზე — 1-დან 8 აგვისტომდე ტაილანდის სამხედრო თვითმფრინავებმა ოთხმოცზე მეტჯერ დაარღვიეს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცე, ამ ქვეყნის ხომალდები იჭერებოდნენ კამპუჩიის ტერიტორიულ წყლებში კონგისა და ტანგის კუნძულების რაიონში. იმავე პერიოდში კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა გააუვნებლეს კონტრრევოლუციური ბანდების ოთხასზე მეტი წევრი, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებში შეიჭრნენ ტაილანდიდან, ნათქვამია ცნობაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვაშინგტონი. 1986 წლის პირველი იანვრისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობამ 240,5 მილიონს მიაღწია.** ეს გადმოსცა სამშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიურომ, ამასთან ამერიკის ზანგი მოსახლეობის რიცხვი 29,2 მილიონს უტოლდება. 1985 წელს მთლიანად შეერთებული შტატების მოსახლეობის ზრდის ტემპმა 0,9 პროცენტი შეადგინა. მაგრამ, ბიუროს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1984 წელს დაბადებული შავკანიანი ამერიკელების სიცოცხლის საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობა კვლავინდებურად ნაკლები იქნება თეთრკანიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობასთან შედარებით.

◆ **ტოკიო. ახალ რეკორდულ დონემდე დაეცა ამერიკის შეერთებული შტატების ვალუტის კურსი ტოკიოს ხიუნდო ბირჟაზე.** დღეს აქ ამერიკულ დოლარში სულ 152,75 იენს იძლევიან. დოლართან შედარებით იენის მკვეთრი გაძვირება, რომლის კურსი ახლა ყველაზე დაბალია მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე, აქვეითებს საზღვარგარეთის ბაზრებზე იაპონური საქონლის კონკურენტუნარიანობას, რაც უარყოფილად მძიმე მდგომარეობაში აყენებს მრავალ ადგილობრივ კომპანიას.

◆ **ფხენიანი. როგორც კორეის ცენტრალურ დეპეშათა სააგენტო იუწყება, 19 აგვისტოს ხალხმა სამხრეთ კორეის მხედრობაში მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის პოსტს დემილიტარიზებულ ზონაში მდინარე იმჯინგანის შესართავის მახლობლად.**

მარტო ამ თვეში აღინიშნა ხუთი ასეთი შემთხვევა.

ინციდენტთან დაკავშირებით კორეაში დაზავების სამხედრო კომისიაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგატმა სამხრეთ კორეის მხარეს გაუგზავნა სპეციალისტ განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამგვარი მოქმედება კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების უხეში დარღვევაა.

კოლექტიური ძიების პოტენციალი

ამ სამეცნიერო ქვეგანაყოფის სახელწოდება არც ერთი დაწესებულების საშტატო ნუსხაში არ არის. და მიუხედავად ამისა, მის მუშაობაზე დამოკიდებულია მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა— პრმოების ავტომატიზაციის საიდედო დიდეფექტიანი საშუალებების შექმნა.

საქმე ეხება უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერთა და წარმოების სპეციალისტთა დროებით შეერმქედებითს კოლექტივს. მისი შექმნის აუცილებლობა კი თვით ცხოვრებითაა ნაკარნახევი.

თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგია ჩვენ თვალწინ ვითარდება. მეტი სრულყოფისაკენ ამ მუდმივ წინსვლაში მთავარია არათუ არ ჩამოვრჩეთ, არამედ ვიმუშაოთ პერსპექტივისათვის, მთლიანად გამოვიყენოთ ამისათვის არსებული „მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი; საქმისადმი ასეთი მიდგომა ბევრად განსაზღვრავს წარმატებას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ამის მაგალითია რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობა, რომლებმაც წარმოების დიდ ეფექტიანობას მიაღწიეს. და მათ შორისაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მოონი“ და ქარხანა.

დარგში აქ ერთ-ერთმა პირველებმა აითვისეს ბეჭრი სახეობის თანამედროვე პროდუქციის გამოშვება. ამისათვის კარგი საფუძველია ერთ ორგანიზაციად მეცნიერებისა და წარმოების შეერთების ფორმა. ამან ხელი შეუწყო, მაგალითად, იმას, რომ აქ შექმნილიყო ავტომატიზებული დაპროექტების სისტემა. მისი ექსპლოატაციის ეფექტიანობა ნამუშევრების ტიპის კვალობაზე ყოველწლიურად შეადგენს 300-500 ათას მანეთს. სარგებლიანობა ცხადია. მაგრამ ეს სრულყოფილი ტექნიკაც ხვალ უკვე მოძველებული იქნება. ამიტომ „მოონში“ უკვე ფიქრობენ ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის ახალ თაობაზე.

ასეთი სისტემის შექმნის ამოცანა უაღრესად რთულია. იგი, როგორც წესი, არ ძალუძს ერთ საწარმოს, რაოდენ მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალიც უნდა ჰქონდეს მას. აქ საჭიროა ფუნდამენტური გამოკვლევებისა და პრაქტიკოსთა გამოცდილების შეერთება. უმეტესი დანახარჯებით საბოლოო შედეგის მიღწევას ხელს უწყობს დროებითი კოლექტივი. მეცნიერებისა და წარმოების წარმომადგენლები აერთიანებენ ძალებს ერთი კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად. „მოონისათვის“ ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის დამშეშავებელი დროებითი კოლექტივის შემადგენლობაში მის სპეციალისტებთან ერთად შედიან თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის, მოსკოვის ელექტროტექნიკის ინსტიტუტის მეცნიერები. სისტემა, რომელზეც კოლექტივი მუშაობს, თავისი ეფექტიანობით ბევრად აღემატება არსებულ ანალოგებს და რამდენიმე წლით შეამცირებს ნამუშევრის დნერგვის პროცესს.

პ. არჩვაძე.
საქინფორმის კორ.

სუსხიანი სტრიქონები

გააკრიტიკე? შეაყარე კედელს ცერცვი

ედინბურგი ბეუფისა და ამისწყლის შესართავის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული ბევრი მრავალსართულიანი, დიდებული ნაგებობა ამშვენებს ქალაქ მახარაძის შემოგარენს. მათ შორის ყურადღებას იქცევს ერთი 5-სართულიანი 70-ბინიანი თეთრი შენობა. ეს მაღაროთსამმართველოს მუშთა საცხოვრებელი სახლია. ერთი შეხედვით, ვერაფერს დაუშენებთ შენებელთა ამ კაპიტალურ ნაგლეკს, მაგრამ რად გინდა...

საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდანვე მეზუთე სართულის ბინებში ისე წვიმს და თოვს, როგორც გარეთ. ქალაქის ხელმძღვანელი ამბანაგებთან ერთად ჩვენ რამდენჯერმე შევისწავლეთ ამ სახლის მაცხოვრებელთა სამართლიანი სჩივრები. ეკოდვა გამხელილი ჯობს, პირველ ხანებში მოვერიდეთ შენებელთა კრიტიკას, ვიმედოვნებდით, ისე, უხმაუროდ მიღლებდნენ ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მაგრამ იმედი არ გაგვიმართლა... ბოლოს კვლავ წვიმიან ამინდში ვეწვეთეთ მოთმინებიდან გამოსულ მობინადრეებს, საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ საშა ბარანკოვისა და სხვების საცხოვრებელ ბინებში მუხლამდე წყალი იდგა. ავიჯრე ვედროები ეწყო, ჭერიდან ჩამომდინარე წყალი რომ შეეკავებინა და საწოლები არ დასველებულიყო. გაბეთ „კომუნისტის“ 1983 წლის 13 დეკემბრის ნომერში „გზადაგზა, თვალის ერთი გადავლებით“ ვწერდით სახლის ხარვეზებზე. მშენებელთა მიერ დაშვებულ დანაშაულებრივ შეცდომებზე.

ვფიქრობდით, მშენებლები შეიტუნებდნენ თავს და ამ უბედურ ბინა სახლის მობინადრეთა ვალიდან უფრო სწორად, სირცხვილიდან ამოვიდოდნენ, მაგრამ ვაი, რომ წერილის გამოქვეყნებიდან უკვე 3 წელი გავიდა, ჩვენი კრიტიკული გამოსვლა დარჩა ხმად ღაღადისა უდაბნოსა შინა.

ერთ მშვენიერ დღეს „კომუნისტის“ საკორესპონდენტო პუნქტში კვლავ მოვიდა სჩივარი, რომელშიც გვატყობინებდნენ, რომ გაზეთის კრიტიკამ ვერაფერი გვიშველაო.

ისევ ვეწვიეთ შეწუხებულ მობინადრეებს. ისევ გულსატკენი სურათი დაგვხვდა: წლების მანძილზე დღენიადაგ ჩაზომდინარე წყალმა ოთახებში სინესტისა და სიმყრალის სუნი დააყენა, ხშირი წვიმების გამო კვლავ გაწამებული დაგვხვდა ბარანკოვების ოჯახი. მძიმე მდგომარეობაშია აგრეთვე ჯარისკაცის ქვრივის, პენსიონერი მარტოხელა ქალის ლენა მუჯირისა და სხვათა ოჯახებიც.

გვერდს ვერ ავუვლით ამ სახლის მშენებელთა გულგრილობასა და უდარდელობას. ესენი არიან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ბათუმის სახლთსაშენებელი კომბინატის (ყოფილი დირექტორი ბ. ფაილოძე) მახარაძის სამშენებლო უბნის (ყოფილი უფროსი ტ. დოლიძე) მშენებლები, რომლებმაც ეს სახლი 11 წლის წინათ ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს. თავის დროზე შენობა წესიერად არ გადახურეს, ამიტომ არის, რომ თოვლისა და წვიმის წყალი მეზუთე სართულის ოთახებში თავისუფლად ჩამოდის.

ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი ბათუმის სახლთსაშენებელი კომბინატის ახალი ხელმძღვანელებისათვის, მაგრამ ისინი დღემდე მაინც დუმან.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სამშენებლო კომპლექსის მართვის სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი გარდაქმნა სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტად — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოდ სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელობის დარგში.

შეიქმნა შემდეგი სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამშენებლო სამინისტროები:

სსრ კავშირის ჩრდილოეთისა და დასავლეთის რაიონების მშენებლობის სამინისტრო სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე ამ და სხვა საერთო-სამშენებლო საწარმო-ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებიც სამუშაოებს ეწევიან ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთის, ვოლგა-ვიატკისა და ცენტრალურ ეკონომიკურ რაიონებში და კალინინგრადის ოლქში;

სსრ კავშირის სამხრეთ რაიონების მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე ამ და სხვა საერთო-სამშენებლო სამინისტროების საწარმო-ორგანიზაციათა ბაზაზე, რომლებიც სამუშაოებს ეწევიან ცენტრალურშავმიწანადაგიან, ვოლგის-პირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკურ რაიონებში;

სსრ კავშირის ურალისა და დასავლეთ ციმბირის რაიონების მშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე ამ და სხვა საერთო-სამშენებლო სამინისტროების საწარმო-ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებიც სამუშაოებს ეწევიან ურალისა და დასავლეთ ციმბირის ეკონომიკურ რაიონებში, კრასნოიარსკის მხარესა და ტუვის ასს რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს შორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალის რაიონებში ეწოდა სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონების მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტრო.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იური პეტრეს ძე **ბალტაჩინი** დანიშნა სსრ კავშირის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბიუროს

ბაკინი. ბაკინის ბიუროს ბიუ

გზა გავუხსნათ ტალანტებს

სკკ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“ კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ პარტია და მთავრობა ზრუნავენ ქვეყანაში განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის. ეს არის სპეციალისტების, იმათი მომზადების ძირეული გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული დოკუმენტი, ვინც უახლოეს მომავალში უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საპროგრამო ამოცანები.

პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა მისაღები გამოცდების სისტემის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. შემოქმედებითად იყენებს რა მის დებულებებს, სამხატვრო აკადემიამ უკვე წელს შემოიღო რამდენიმე სიახლე. მისაღები გამოცდები რიული და ხანგრძლივი მარათონია. საკმარისია ითქვას, რომ აბიტურიენტები, რომლებიც შედიან სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, აბარებენ ექვს სპეციალურ და ორ თეორიულ საგანს, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტებზე — სხვა სპეციალურ და ორ თეორიულ საგანს. აბიტურიენტთა მომზადების დონე ტრადიციულად საკმაოდ მაღალია. მაგრამ გასული წლების გამოცდილებამ გვიჩვენა: ხშირად აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე თუნდაც ერთ ოთხიანს იღებდნენ, ვერ ჩაირიცხებოდნენ ხოლმე აკადემიაში. ეს ნერვულ ვითარებას ქმნიდა. როცა აბიტურიენტი პირველ საგანში სამს ან ოთხს იღებდა, უკვე გული უტყდებოდა და სრულად ველარ ამყოვანებდა თავის მონაცემებს. ნერვული ატმოსფერო გადადიოდა მშობლებზეც, რომლებიც ცდილობდნენ ზემდგომ ორგანოებში განცხადებებით გავლენა მოეხდინათ მიმღებ კომისიაზე.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ თითოეულ მოცემულობაზე ცალ-ცალკე შეფასება მიმღები კომისიის წევრებს ვერ უქმნიდა სრულ წარმოდგენას აბიტურიენტის ხატოვან აზროვნებაზე, ნახატის კომპოზიციის, ფერის, რიტმის გრძნობაზე. ამავე დროს რეპეტიტორების მიერ „გამოწვრთნილი“ ახალგაზრდები, თითქოს და „კარგ“ ნახატებში ვერ ავლენდნენ თავიანთ ნამდვილ შესაძლებლობებს. ამის შედეგად ბევრი ნიჭიერი ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც მკაფიო ინდივიდუალობით გამოირჩეოდნენ, სამხატვრო აკადემიის გარეთ რჩებოდა.

ყოველივე ამის გამო თბილისის სამხატვრო აკადემიის მიმღებმა კომისიამ გადაწყვიტა სპეციალური საგნები კომპლექსურად შეფასდეს. სპეციალობაში ყველა მოცემულობის შესრულების შემდეგ მოეწყობა გამოფენა, სადაც თითოეული აბიტურიენტი მთლიანად იქნება წარმოდგენილი — ფერწერით, ნახატით და კომპოზიციით. კომისიის წევრებს საშუალება ექნებათ ობიექტურად შეაფასონ აბიტურიენტის მხატვრული მონაცემები.

ღრმად ვართ დარწმუნებული და ამას წლევანდელი გამოცდებიც ადასტურებს, რომ ეს სიახლე არსებობად უმაღლესი-სასწავლებლის გზას გაუხსნის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდობას.

ზურაბ ნიჟარაძე,
თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი.

ქომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380090, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტ ულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 99-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტ ი ს — 99-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 99-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 99-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 99-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 99-16-90, უცხოეთის ინფორმაც ი ი ს — 99-60-21, მეზრეველთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 99-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 99-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ყუთაისი — 5-26-26; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-26; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

მეტი შეგვიძლია და მეტიც მოგვთხოვება

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა მიზნად ისახავს ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების დონის ამაღლებას, მოსწავლეთა კომპეტენტური წიგნიერების უზრუნველყოფას, მათს მომზადებას დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრებისათვის.

ამ მხრივ გარკვეული მიღწევები აქვს ჭიათურის ზონის სვირის საშუალო სკოლას. ეს სკოლა სოფლის სკოლებს შორის ერთ-ერთი უძველესია რესპუბლიკაში. 85 წელია ცოდნის ჩირაღდნად ანთია იგი. ორიოდე წლის წინათ ახალ სამსართულიან შენობაში დაიდო ბინა და სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადავიდა. კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობითა და საშუალებებით, მრავალფეროვანი თვალსაჩინოებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სწავლებისა და აღზრდის ახლებურად წარმართვას, რეფორმის შესაბამისად სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე დასახულ სადღეისო ამოცანებს, კერძოდ, მოსწავლეთა შრომითს აღზრდას და პროფესიულ ორიენტაციას, რაც რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა.

ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეხამება, რაც სასკოლო რეფორმით არის გათვალისწინებული, დროის მოთხოვნაა. მოზარდმა ბავშვობიდანვე უნდა ისწავლოს არა მარტო მიწის სიყვარული, შრომა, არამედ ამ შრომის შედეგით ტკბობაც. შემდეგ, როცა ცხოვრების დიდ გზაზე გამოვა, არ იყოყმანებს გზის არჩევის დროს, სწორად განსაზღვრავს თავის მომავალს.

ჩვენს სკოლაში ყოველწლიურად იქმნება შრომისა და დასვენების ბანაკი, რომელიც, ტრადიციულად, გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. შარშან ბანაკში გაერთიანებული იყო ასამდე უფროსკლასელი. მათ 2 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს, ჩვენს საბაზო მანდაეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო აქვთ. მათ მეურნეობის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს ჩაის ფოთოლი, დაამუშავეს სამინდის ყანა, დაამზადეს პირუტყვის საკვები. ბანაკის წევრებმა ამ ზაფხულაც ისახელეს თავი.

ჩვენი მოსწავლეები ხალისით შრომობენ აგრეთვე სკოლის სასწავლო საცდელ ნაკვეთში, რომლის ფართობი ჰექტარ-ნახევარია. მოგვყავს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის უხვი მოსავალი. საამოდ შრიალებს მოსწავლეთა ხელით გაშენებული ხეივანი, სადაც 300 ძირი კაკალი ხარობს. მას მოსწავლეები სანმაუშოდ უვლიან.

სგარეჯოს რაიონის მანავის, გორის რაიონის ძევერის, საჩხერის რაიონის მერჯევისა და რესუბლიკის სხვა სკოლების მსგავსად შარშან მანდაეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე შეავქმენით სასწავლო მეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა არა მარტო ჩვენი, არამედ მეზობელი მანდაეთისა და ჩხირაულის საშუალო სკოლების 250 მოსწავლე. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. ბიწაძე) ხელმძღვანელებმა სკოლა-მეურნეობას გამოუყვეს სამუშაო კაბინეტები. მიამაგრეს ტექნიკა, შეუქმნეს მათ შრომისა და დასვენების ყველა პირობა. მოსწავლეებს სამუშაოდ დაჰყავთ ავტობუსებით. მოწესრიგებულია მათი კვება, დასვენება.

სასწავლო მეურნეობას დასამუშავებლად გადაეცა 12 ჰექტარი ფართობი. აქედან 4 ჰექტარი ჩაის პლანტაციას უჭირავს, ხოლო 8 ჰექტარზე სიმინდი და ლობიო ითესება. მოსწავლეები დიდი ხალისით შრომობენ, მუშაობენ აგროტექნიკური ვადების დაცვით და ხარისხიანად. შედეგებიც საუკეთესო აქვთ. მათ მეურნეობის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და თითქმის ორჯერ მეტი მარცვლეული და პარკოსნები მოიყვანეს. სისტემატურად აღრიცხავენ შესრულებულ სამუშაოს, მოწესრიგებულია მოზაზე შევქმენით სასწავლო მეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა არა მარტო ჩვენი, არამედ მეზობელი მანდაეთისა და ჩხირაულის საშუალო სკოლების 250 მოსწავლე. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. ბიწაძე) ხელმძღვანელებმა სკოლა-მეურნეობას გამოუყვეს სამუშაო კაბინეტები. მიამაგრეს ტექნიკა, შეუქმნეს მათ შრომისა და დასვენების ყველა პირობა. მოსწავლეებს სამუშაოდ დაჰყავთ ავტობუსებით. მოწესრიგებულია მათი კვება, დასვენება.

სასწავლო მეურნეობას დასამუშავებლად გადაეცა 12 ჰექტარი ფართობი. აქედან 4 ჰექტარი ჩაის პლანტაციას უჭირავს, ხოლო 8 ჰექტარზე სიმინდი და ლობიო ითესება. მოსწავლეები დიდი ხალისით შრომობენ, მუშაობენ აგროტექნიკური ვადების დაცვით და ხარისხიანად. შედეგებიც საუკეთესო აქვთ. მათ მეურნეობის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და თითქმის ორჯერ მეტი მარცვლეული და პარკოსნები მოიყვანეს. სისტემატურად აღრიცხავენ შესრულებულ სამუშაოს, მოწესრიგებულია მოსწავლეთა შრომის ანაზღაურება, მათს ანგარიშზე გახსნილია შემნახველი სალაროს წიგნაკები, ეწყობა დირექციის სხდომები, ჯამდება ბრიგადებს შორის გაწეული სოცშეჯიბრის შედეგები. გამოდის კედლის გაზეთი „ნორჩი მეურნე“.

წლეულს მოსწავლეებმა დროულად შეასრულეს საგაზაფხულო და ირდადგეების პერიოდისთვის გათვალისწინებული სამუშაოები. ცდილობენ თავიანთი ძალებით, უფროსების დაუხმარებლად, მართონ მეურნეობა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1985 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების გამო სვირის საშუალო სკოლა დაჯილდოვდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. სკოლას დადაეკა აგრეთვე ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სახალხო განათლების განყოფილებისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვეს ორი, ხოლო განათლების სამინისტროს სპატარი სიგელით სამი მასწავლებელი. ღაწლის დიფლომებმა აღაფრთოვანა და ახალი წარმატებებისათვის დარაზმა სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში შეძენილი გამოცდილება, რიგიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საკუთარი სასწავლო მეურნეობა საშუალებას იძლევა ჩვენს სკოლასთან გაიხსნას სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი. საქმე ის არის, რომ ქალაქ ჭიათურის ზონასა და საჩხერის რაიონში არ არსებობს არავითარი ტექნიკუმი ან ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც სოფელს სათანადო სპეციალისტებს მოუმზადებდა. ამიტომ საზოგადოებრივ მეურნეობებში ბრიგადირებად, ფერმის გამგეებად უმეტესად არასპეციალისტები მუშაობენ, არ ჰყავთ საშუალო სპეციალიური განათლების მქონე ზოოტექნიკოსები, თვითდინებაზეა მიშვებული მექანიზატორების, ზეინკლების, ავტომშეკეთებლებისა და სხვათა მომზადების საქმე. ყოველივე ეს, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს რეგიონში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე. ეს საკითხი ზემდგომ ორგანოებში რამდენჯერმე აღვძართ, მაგრამ ჯერჯერობით დადებითად არ გადაწყვეტილა.

ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, დირექცია, პარტიული ორგანიზაცია ენერგიულად იღვწიან სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. ყველაფერს ვიღონებთ პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემდგომი განვითარებისა და ურთიერთდაახლოებისათვის.

რ. ბიწაძე,
ჭიათურის ზონის სვირის საშუალო სკოლის დირექტორი, სახალხო განათლების წარჩინებული.

მამათა მაგალითი შვილებს

დიმიტრი ბაქანიძე მოსკოვში ჩამოვდა და უწინარეს ყოვლისა მე მომაკითხა.

გაჭაღარავებულიყო, თითქოს მოტეხილიყო, თვალის უპეები ჩაშავებოდა, მაგრამ კვლავინდებურად მხიარული და ხალისიანი გამომეტყველება ჰქონდა.

როცა შეიტყო, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ფეოდოსიაში ვიყავი, რაღაცნაირად აღელდა, დაფიქრდა და შემომხედა.

—ომის წლები გამახსენდა. ჩემთვის იგი ხომ სწორედ იქ დაიწყო, — ხმადაბლა თქვა მან.

და როცა ერთმანეთის პირისპირ მოვეკალათეთ, მიამბო, როგორ დაიწყო იმ შორეული დღეის ამბები, როცა იგი, სამხედრო საქმეში სრულიად გამოუცდელი, რიგით ჯარისკაცად ჩარიცხეს 251-ე ცალკეულ სამთო მსროლელთა პოლკში, 1941 წლის დეკემბრის უკანასკნელ ღამეს როგორ ჩასხეს პოლკი კრეისერებში, ნაპირთან კი კატარღებით ფეოდოსიაში გადასხეს დესანტად.

რამდენიმე ხნის შემდეგ მედესანტეები კიდევ რამდენიმე უბანს დაეპატრონენ. უტყუარ ორიენტირს იძლეოდნენ საზღვაო ქვეითი ჯარის ბრიგადები, რომლებიც დესანტში მონაწილეობდნენ. ისინი სასწაულებრივ მამაცობას და საბრძოლო საზრიანობას იჩენდნენ.

მეორე დღეს ჰიტლერელებმა სცადეს ზღვაში გადაეყართ მედესანტეები. მაგრამ უკვე დაკავებული პოზიციებიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს. ჩვენების იერიშები სულ უფრო ძლიერდებოდა. ყოველი შენობისათვის იბრძოდნენ. ერთ მათგანს დიმიტრის ათეული გაყინულ თოვლზე ცოცავთ მიდგა და ერთი ნახტომით აიღო. აქ ყოფილა შტაბი, დოკუმენტები და გროხნოს და ბაქარს აღების გეგმა. შენობას ბოლომდე შეუპოვრად იცავდნენ და ყველზე კრიზისულ წუთებშიც კი არ შეუყვანიათ ოპერაციის წარმატების რწმენა. ასე, შეუპოვარი ბრძოლებით ჩაიარა ფეოდოსიის თავდაცვის იანვრის პირველმა დღეებმა. დესანტის გადასხმის მესამე დღეს ბაქანიძე ნაღმის ნამსხვრევით დაიჭრა. დაფლეთილი ტანსაცმელი სისხლით შეიღება. იგი ქერჩის საეკაუტაციო ჰოსპიტალში მიიყვანეს. 17 დღის შემდეგ, როცა ჩვენმა ჯარებმა ქერჩისკენ დაიხიეს, მას აცნობეს, რომ წარმატებული ოპერაციისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაუჯილდოვებიათ.

გადიოდა დღეები. ექიმებმა უმკურნალეს და გამოსაჯანსაღებელთა ბატალიონში გაგზავნეს. რამდენიმე კვირის შემდეგ დიმიტრი ბაქანიძე აქედან მეორედ წავიდა ომში. ეს უკვე 1942 წელს იყო, ჩრდილო კავკასიის ფრონტის 62-ე წითელდროშოვან საზღვაო ბრიგადაში, სადაც იგი ოცეულის მეთაური და ბატალიონის პარტორგი გახდა.

ბრიგადა სიიერშოდ გაგზავნეს მალგობეკ-მოზდოკ-ბესლანის რაიონში. ფიცხელი ბრძოლები იყო.

ის დღეები განსაკუთრებით ნათლად დაახსომდა დიმიტრის.

ჩვენ გვესმოდა, იხსენებს ბაქანიძე, რა სერიოზული ვითარება შეიქმნა, გვესმოდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიგვეცა მოწინააღმდეგისათვის გარღვევის შესაძლებლობა, უკუგვიგდო იგი „დაკეტებული პოზიციებიდან.

და აქ პარტორგი კვლავ დაიჭრა ნაღმის ნამსხვრევით. იგი მოიერიშეებმა უკან მოიტოვეს, რამდენიმე საათის შემდეგ კი სანიტრებმა სამედიცინო-სანიტარიულ ბატალიონში მიიყვანეს. თითქმის ერთი წელი დასჭირდათ ექიმებს, რომ ჭრილობები მოეშუშებინათ. იგი აჩქარებდა მათ, გული ფრონტისკენ ეწეოდა. მაგრამ ექიმები კატეგორიულად ეუბნებოდნენ: „ფრონტისთვის ადრ გამოდგებით, ახლა ზურგში უნდა იბრძოლოთ“.

მშობლიურ სოფელს ომის ინვალიდად დაუბრუნდა. რამდენიმე ხანს დაისვენა და კოლმეურნეობას მიაშურა. გულწრფელად და სიხარულით შეხვდნენ. მალე ბრიგადირად დანიშნეს, შემდეგ კი პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, გარიჟრაჟიდან დაღამებამდე მუშაობდა, თავის მაგივრადაც და თანამოლეკელთა მაგივრადაც, რომლებიც სამუდამოდ დარჩნენ ბრძოლის ველზე.

შემდეგ მეზობელი სოფლის, თხინვალის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით თანდათან იზვეშდა სახელს რაიონსა და რესპუბლიკაშიც.

1961 წელს ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობა საუკეთესოთა შორის დასახელეს, ხოლო მისი თავმჯდომარე ლენინის ორდენით დაჯილდოეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი სოციალისტური შრომის წოდებაც დაიმსახურა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. განუზომლად გაიზარდა კოლმეურნეობა, კეთილმოეწყო სოფელი, და ყოფილი თავმჯდომარეც ხშირად შემოიკლის ხოლმე აქ, დაათვალიერებს პლანტაციებს, გასაუბრებენ იმათ, ვისთან ერთადაც იწყებდა აქ მუშაობას, გაიხარებს მათი წარმატებებით და ოდნავ სევდაც მოერევა ხოლმე.

იგი მეზობელ სოფელში — ნატანებში ცხოვრობს, კვლავინდებურად დაუცხრომელია. პერსონალური პენსიონერი უმოქმედობას ვერ ურიგდება, შეძლებისდაგვარად მუშაობს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობაში. ხშირად ნახავთ მას კოლმეურნეთა ოჯახებში, რომელთა შორისაც დაიწყო თავისი ცხოვრება. იგი აქ პირველი დამრიგებელი და მრჩეველია.

ვ. მიაკუშკოვი,
ფრონტელი ჟურნალისტი.

ფრონტზეც და ზურგშიც

ზოოპარკი... ოჯახში

იმ სახლის ეზო, სადაც ცხოვრობს გრიგოლიშის ნაკრძალის უფროსი ეგერის მურმან როგავას ოჯახი, აქაური მოსწავლეების, ქალაქ ზუგდიდში ჩამოსული ტურისტების საყვარელი ადგილია. ორასი ცხოველი შეიკედლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ, რომელიც გატაცებულია ფაუნითა და გარეული ნადირის წვრთნით. ეზოში, რომელიც ნაკრძალ ტყეს აკრავს, ცხოვრობენ ირმები, ფარშევანგები, ხოხბები, კაკბები და... ლომი. საკვების ძიებაში მის ეზოს მიაშურეს მეზობელი ტყიდან გამოხტომა ირმებმა. თავისებურ „დაზვერვას“ ხელმძღვანელობდა ხარირემი, რომელსაც შემდეგ ბორკა დაარქვეს. როდესაც სურნელოვანი თივით კარგად გამოძღა, ბორკამ ტყიდან კიდევ რამდენიმე ირემი მოიყვანა.

ხუთათვიანზე: მურმან როგავა ეალერსება ხარირემს; ხარირემი ბორკა სიამოვნებით ასრულებს თავისი პატრონის ბრძანებებს.

ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გზა მშვიდობისა...

ტოროლა — დილის მეხრე, ქალაქს არა ჰკავს, შაშვმა იმრავლა თბილისში.

ყურს თუ მიუგდებთ, ინათებს თუ არა, გარინდულ ქალაქში შაშვის ჭაჭანს გაიგონებთ.

ალიონს თბილისს ტაქსების გამოჩენა აუწყებს... ჯერ ისევ სიბნელეში მწვანე ცალი თვალის ცეცებით მოედებიან ქალაქს — ესე იგი, გათენებულა!

თბილისში დღეში 2400 ტაქსია, ორი ამდენი მძღოლი, ვინ იცის რამდენი მომსახურე პერსონალი, ტექნიკოსი და ინჟინერია, ტაქსების მეურნეობა დიდი სამსახურია...

ვინ იცის, ქალაქში რამდენი ავტოინსპექტორია — ოთხასზე მეტი, და ამ ზღვა ხალხის, მძღოლის, მგზავრის, ავტოინსპექტორის დილა ამ კეთილი სიტყვებით უნდა დაიწყოს — გზა მშვიდობისა...

როცა გადაწყდა, რომ მესამე წერილი, ავტოინსპექტორზე და მძღოლზე უნდა დაგვწერა, ისეთ ავტოპარკს დავუწყეთ ძებნა, სადაც ხალხიც ბევრია და „საზოგადოებაც ჭრელი“.

ტაქსების მეურნეობა გვირჩიეს, და მართლაც, სად ნახავთ ასეთ მრავალფეროვან „პუბლიკას“. ომის და შრომის ვეტერანები, საპენსიო, ჭარმაგი კაცები და ჯარიდან დაბრუნებული ბიჭები, წვევამდელებიც კი, ვინ გინდათ რომ აქ არ იყოს, და რა გინდათ, რომ აქ არ გაიგონოთ...

ამიტომ ისეთ დაწესებულებას და ისეთ ხელმძღვანელს ვარჩევდით, სადაც უფროსიც თავის ადგილზეა და უმცროსიც... თორემ რა გამოგვიდა, მისვალ რომელიმე დაწესებულებაში და რას ხედავ, ისე არ შეეფერება დირექტორი მრევლს, როგორც ბულბული-საჯინიბოს... რა გინდა კონდიტერად ან მაღაზიის გამგედ თუ სპორტსმენი ხარ ან საბალეტო სტუდია გაქვს დამთავრებული. მაშინ ეკონომისტმა რა ქნას, სად წავიდეს ეკონომისტი?.. თუ სიმძიმეების აწევაში ჯობნი ყველას ან სირბილში ჩემპიონი ხარ, არაა აუცილებელი საზკების ინსპექტორი იყო, ან „ბენზოკალონკა“ გებაროს...

არჩევანი თბილისის მე-3 მსუბუქი ტაქსების პარკზე შევაჩერეთ, გადავწყვიტეთ აქ მოგვეწყო ეს შეხვედრა — „მძღოლი და ავტოინსპექტორი“ და ქალაქის ავტოინსპექციას შევუთანხმდით.

ამ ავტოპარკისაკენ გულმა კიდევ იმიტომ გამიწია, რომ ვიცოდი, აქ პარკის უფროსად ზარიბეგ ბერიაშვილი იყო, კარგი ინჟინერი, საქვეყნოდ ცნობილი კაცი, ახალგაზრდობაში სახელოვანი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი, ოთხგზის ევროპის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. და რომ ეს კაცი წარსული დამსახურებებისათვის პრტექციით კი არ უფროსობს, არამედ მართლაც თავის ადგილზეა, ერთი ამ ეპიზოდიდანაც არის მისახვედრი (ეპიზოდი კი პირველწყაროდან ვიცით).

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტუდენტობისას ზარიბეგს მეშანაკას უკითხავდა დოცენტი დათიკო ქათამაძე. კაცი ცნობილი პრინციპულობითა და სიმკაცრით. ერთ მშვენიერ დღეს ეს ტიტულოვანი სტუდენტი ეახლა, გამოცდას ჩაგბარებთო. დავითმა ამრეზით შეხედა სტუდენტს და უადგილესი შეკითხვა მისცა, მისვდა სტუდენტი რაშიც იყო საქმე, და შეკითხვას ისე უპასუხა, რომ ლექტორი დაინტერესდა, მეორე შეკითხვა მისცა, პასუხი სწორი იყო და ამომწურავი.

ბიჭოს! მესამე შეკითხვა, მეოთხე, უფრო რთული და რთული... ასე ბოლომდე მექანიკის თითქმის მთელი კურსი.

...ამდენი ხანი გავიდა და ლექტორი ახლაც სიამაყით იხსენებს ამ ამბავს.

ტაქსების მესამე პარკი ვეებერთელა, ყველაზე დიდია ქალაქში, აქ საქმის ცოდნა, სიყვარული და ერთგულებაა საჭირო, სხვაგვარად ამ 2300-მდე კაცთან ურთიერთობას ვერ აიწყობ. გეგმა კანონია, ეს ყველამ იცის. მეგობრობა შრომას აადვილებს — ესეც ყველამ იცის. დანიშნულ დროს ავტოინსპექციის წარმომადგენლები მოვიდნენ, ქალაქის ავტოინსპექციის უფროსი ვალერიან როგავა შეკითხვებით „დასტყვეს“ მძღოლებმა. სულ ქუჩებსა და ჩიხებში „ატარეს“ და ბოლოს მაინც ბევრი საერთო გამონახეს. საბოლოოდ ერთ რამეზე შეთანხმდნენ; იმის გულისათვის, რომ გეგმა დიდია, მომატებული სიჩქარით სიარულს არავინ გაპატიებს. სხვა ყოველგვარ ხელის შეწყობაზე მზადაა ავტოინსპექცია.

მოძრაობის წესები ყველა ოპტიმალურ ვარიანტს ითვალისწინებს, მაგრამ ეტყობა მაინც მთავარი სათქმელი ის იყო, რომ საერთო სიმშის მოსავლელად და მოსაწესრიგებლად მეგობრობა და ახლობლობაა საჭირო.

ერთი ძველი მძღოლი დარდობდა: წინათ, როგორ იქნებოდა მძღოლი და ინსპექტორი ერთმანეთს არ მისალმებოდნენ თუ ერთმანეთის მოკითხვის დრო და საშუალება არ ქონდათო.

ამ ბოლო ხანს ერთი სასიამოვნო ამბავი შეიმჩნევა, არ ვიცი რით აიხსნება, ბიჭები ხშირად ვლაპარაკობთ, არ ვიცი ხალხი (ინსპექცია) შეიცვალა, არ ვიცი ჩვენ შევიცვალეთ... მართალს გვეტყვიან — ამბობს ანატოლი რეზნიჩენკო, გამოცდილი მძღოლი და ცხოვრებაში ჩახედული კაცი.

კონსტანტინე ბაიარსკიმ, მოწინავე მძღოლმა, დაუმოწმა ამხანაგს, მართლაც შეიცვალა ურთიერთობაო.

— განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა ტაქსის საჭეს ისეთი კაცი უზის, რომელმაც იცის რას ნიშნავს, იყო თბილისელი. ქალაქელობა შენი ქალაქის სიყვარულსა და პატრიოტობას ნიშნავს, თორემ მარტო გაიძახოდე, მე თბილისელი ვარო, რა ბედენაა.

ინსპექციაც სულ შეიცვალა ჩვენს მიმართ, არც წინათ გვმტრობდა ვინმე, მაგრამ ახლა აშკარა კეთილგანწყობა გამოსჭვივის.

არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ჩვენ, მძღოლებს, რაიმე მოგვეთხოვა ან წინადადება შეგვეტანა, და ინსპექციას უყურადღებოდ დავეტოვებინეთ. ეს გულს ახალისებს და შრომას აადვილებს.

ასე ფიქრობენ, ასე ლაპარაკობენ მძღოლები — გიორგი ქავთარაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გერმანე მინასიანი, ტრისტან კანდელაკი და ბევრი სხვა საქმის ერთგული და შემსრულებელი.

მძღოლები ინტერესით მოეკიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელის საუბარს, რომელიც შეეცადა მოძრაობის წესების დარღვევათა ანალიზის სამუალებით სრული სურათი შეექმნა და დაესაბუთებინა ამ მოვლენათა ლიკვიდაციის შესაძლებლობა და აუცილებლობა.

მაინც მთავარი სასაყვედურო ის იყო, რომ ინსპექტორი ქუჩაში ზედამხედველ „გარადავოის“ არ უნდა გავდეს, სირცხვილიცაა კაცი „საფრთხობელას“ როლში იყოს.

გინდა ჯარიმა დაუძახეთ, გინდა გამოძალვა, გინდა გამოგლეჯა —ასეთ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. ამბობენ, რომ ზოგი ინსპექტორი „შარზეა“, როგორმე გაგაჩეროს (თუ მართალი გინდათ „შარი“ ინსპექტორს არ სჭირდება, უშაოდაც იმდენს არღვევს მძღოლი .. ის ისედაც „ჩავარდება“) და აი, სწორედ მამინ ფიქრობს იგი — ჯობია მცირე „გასამრჯელო“ გაიღოს, ვიდრე ინსპექციასთან ქონდეს საქმე.

ასე შესდგება ხოლმე „წვრილმანი მექრთამეობა“, მაგრამ... ახლა უკვე უფრო იშვიათად.. შიშია თუ რიდია, ახლა ასეა...

მძღოლები და ინსპექციის წარმომადგენლები დიდხანს შერჩნენ საუბარს, ღღის ბოლომდე. სტუმრებმაც და მასპინძლებმაც იგრძნეს ასეთი შეხვედრების საჭიროება. რაც მთავარია, გულგრილობის ყინული გალღვა და გალმა-გამოღმა“ მდგომთა პოზიცია შეირყა. სასიამოვნო და სასარგებლო დღე იყო, ასეთ შეხვედრეს ყოველთვის გზა მშვიდობისა მოსდეეს უცილოდ...

რეზო დვალიშვილი.

ინსპექტორი

მძღოლი და

სატელევიზიო ორგანიზა

ჩაალეგომპარდოსა: მადრიდში ... ბრიტანეთ ... ბრიტანეთ ... ბრიტანეთ